ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№13

ქ. თბილისი; 9 თებერვალი, 2018 წ. 11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ილია ელოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი - ბექა მიქაუტაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.16.02.029.015) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.19.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N279 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ - ილია ელოშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტის თანახმად, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით, გამგეობის მიერ სრულად (100%-ით) დაფინანსდება შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

• სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი);
• ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები (ლიფტები და სადარბაზოს სენსორული სანათები); • წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები;
• 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები;
• საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები და თაღები);
• სართულშუა ნაპრალების სამუშაოები;
• პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის და დეფექტური აქტების მოსამზადებელი მომსახურება).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც გამგეობა გადაწყვეტს დააფინანსოს პროექტი 100 პროცენტით, ამხანაგობას მოეთხოვება საერთო კრების ოქმით განსაზღვროს საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ოდენობა, რომლის შეტანაც განხორციელდება ამხანაგობის ანგარიშზე. შენატანების ოდენობა უნდა შეადგენდეს გამგეობის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების არანაკლებ 10%-ს.

ბატონი ილია ელოშვილის თქმით, ხსენებული 10%-ის 20%-ი შესაძლოა გამოყენებულ იქნას თავმჯდომარეთა საქმიანობის ასანაზღაურებლად. თუმცა ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ამხანაგობის წევრთა შეჯერებით.

ბატონმა ილიამ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობამ ამხანაგობას 100 პროცენტით დაუფინანსა შესაბამისი პროექტი, თუმცა თავის მხრივ ამხანაგობამ არ განახორციელა 10%-იანი შენატანი. ასეთ შემთხვევაშიც, გამგეობა ბოლომდე მიიყვანს დაწყებულ საქმეს, თუმცა შემდგომში აღარ განაგრძობს თანამშრომლობას შესაბამის ამხანაგობასთან მანამ, სანამ არ გამოასწორებენ აღნიშნულს.

მომხსენებელმა ისაუბრა ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზოგადი ტენდერები გამოცხადდება ყველა რაიონის მიხედვით, თუმცა, შესაძლებელია, რომ თითოეულ რაიონებში განხორციელდეს რამდენიმე. განსხვავებით წინა წლებში არსებული

პრაქტიკისა, როდესაც ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის 19-მდე სამუშაო, აღნიშნული ცვლილებების ფარგლებში ზემოაღნიშნული სამუშაოები განზოგადდა, შესაბამისად, განხორციელდება 6 ძირითადი სამუშაო, რომელთან დაკავშირებითაც გამოცხადდება ზოგადი ტენდერები წინა წლებში არსებული მოცულობის, ხარჯთაღრიცხვებისა და ზღვრული ფასების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თანხის ეკონომიურ გამოყენებას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში 6 სხვადასხვა სატენდერო კომპანია თითოეულ რაიონში წინასწარ იქნება მზად იმისათვის, რომ დადგენილი ვადისა და ვალდებულების გათვალისწინებით, გამგეობის დავალებით, განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები. აგრეთვე იქნება გათვალისწინებული უფრო დახვეწილი და გამკაცრებული საგარანტიო მომსახურება, რათა მსხვილმა კომპანიებმა სამუშაოების დასრულების შემდგომ განახორციელონ უფრო ეფექტური მომსახურება.

მომხსენებლის თქმით, ასევე, აღნიშნული წესის შემოღების შემდგომ, იმისათვის რომ გამგეობის მიერ აღიარებულ იქნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, როგორც ერთეული, აუცილებელია, რომ ისინი წარსდგნენ გამგებლის წინაშე, შესაბამისი კრების ოქმით, რომელშიც განსაზღვრული იქნება, რომ შეკრებილ იქნა მაცხოვრებელთა არანაკლებ 2/3, ოქმში ასევე აღინიშნება მაცხოვრებლებისა და ოჯახების რაოდენობა, თავმჯდომარის ვინაობა და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუკი არ არის შერჩეული თავმჯდომარის კანდიდატურა ან მაცხოვრებელთა სურვილის შესაბამისად, არსებობს ძველი თავმჯდომარის შეცვლის ან ამავე თავმჯდომარის ხელახალი შერჩევის სურვილი, ზემოხსენებული ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული შესაბამის კრების ოქმში. ასევე, მაცხოვრებელთა მიერ უნდა იყოს წინასწარ გაწერილი ის ერთწლიანი მიზნები, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს გამგეობის ფარგლებში. ზემოაღნიშნული პროცედურების განხორციელების შემდგომ ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მათი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობად აღიარება. ამის შემდეგ ხდება მათი ინფორმირება ახალი პრინციპების თაობაზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს პრობლემის არსებობის შემთხვევაში თავმჯდომარის მიერ გამგეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც განსახილველად გადაეცემა გამგეობაში არსებულ შესაბამის საბჭოს. აღნიშნული საბჭო იხილავს პრობლემას აღწერილი და დასურათებული ინფორმაციის საფუძველზე. თუკი ის მიიჩნევს, რომ განსაზღვრული რესურსების, პრიორიტეტებისა და მიზნების გათვალისწინებით არსებობს მზადყოფნა პრობლემის აღმოსაფხვრელად, გამგეობა მიმართავს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას დეფექტური აქტებისა და პროექტირებისთვის. დეფექტური აქტისა და პროექტის შედგენის, ასევე, ლაბორატორიის მიერ აღნიშნულის შემოწმების შემდგომ ინფორმაციის გაგზავნა ხდება იმ კომპანიისათვის, რომელსაც ჰქონდა იმ კონკრეტული ტიპის სამუშაოების შესრულების ვალდებულება, რომელსაც უკავშირდება აღნიშნული პრობლემა. ზემოაღნიშნული პროცედურების განხორციელების შემდგომ კომპანია განსაზღვრავს სამუშაოების განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსების ოდენობას, ხოლო ამხანაგობის მიერ ხდება ახალი წესით დადგენილი 10 პროცენტიანი შენატანით საკუთარი ანგარიშის შევსება და იმ მიზნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელსაც შემდგომში მოხმარდება აღნიშნული თანხა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, **ქალბატონი ქეთევან მამულაშვილი** დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რა ფუნქციებით იქნება აღჭურვილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე, გარდა, პრობლემის არსებობის შემთხვევაში რაიონის გამგეობისთვის მიმართვისა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ - **ილია ელოშვილმა** განმარტა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე უნდა იყოს აქტიური. ასევე აღნიშნა, რომ ხსენებულ პოსტზე არჩევისათვის აუცილებელი ასაკობრივი ზღვარი არ არის დადგენილი. მომხსენებლის თქმით, თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს უნარი, უზრუნველყოს, ერთი მხრივ, გამგეობის ზუსტი ინფორმირება შესაბამისი პრობლემის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, აწარმოოს მუდმივი კომუნიკაცია მასთან. გარდა ამისა, თავმჯდომარის ფუნქციას განეკუთვნება ახალი წესის შესაბამისად დადგენილი 10%-იანი შენატანის სწორად განკარგვა. აღნიშნული ანგარიშის არსებობით მაცხოვრებლებს აქვთ გარკვეულწილად ვალდებულება მოვლა-პატრონობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გარდა, ხელი შეუწყონ უბნის ეკონომიკურ განვითარებასაც. ბატონმა ილიამ აღნიშნა, რომ ის იზიარებს საკრებულოს დეპუტატების მიერ წარმოდგენილ ინიციატივას ზემოხსენებული პროცედურის ელექტრონულად განხორციელების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს თავმჯდომარის საქმიანობასის გამარტივებას და მის გააქტიურებას. ამასთან, მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ თავმჯდომარის საქმიანობის ხარჯების ანაზღაურებაც ხორციელდება ამხანაგობის საკუთარი ანგარიშიდან (10%-იანი შენატანიდან).

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა **ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, სტიქიური უბედურებების, ე.წ ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად გამოწვეული ზიანის შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა ხდება თუ არა 10%-იანი შენატანიდან დაფინანსების გზით.

ბატონმა ილია ელოშვილმა განმარტა, რომ კომპანიებს, რომლებიც გაიმარჯვებენ შესაბამის ტენდერში, ხელშეკრელებაში წინასწარ ექნებათ გათვალისწინებული ფორს-მაჟორული სიტუაციების შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის გზები, ისევე, როგორც საგარანტიო მომსახურება, ხოლო მაცხოვრებელთა პირადი ანგარიშიდან ანაზღაურება არ განხორციელდება.

ქალბატონმა **ქეთევან მამულაშვილმა** აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც მაჟორიტარი დეპუტატისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობა იყოს სწორად ინფორმირებული და შესაბამისად, დაინტერესდა, თუ რა ღონისძიებებია გათვალისწინებული მოსახლეობის ინფორმირებისათვის.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მოსახლეობის ინფორმირებისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებები, დამზადებულია ბროშურები და სხვა. მან ასევე, დამატებით აღნიშნა, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება ღონისძიებაში ჩართული იყოს როგორც პოზიცია, ისე-ოპოზიცია.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, თუ, ვინ იქნება გამგეობაში აღნიშნულ პროექტებზე პასუხისმგებელი, კონკრეტული პირი თუ საბჭო?

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროეტებზე პასუხისმგებელი პირი არის გამგებელი. შესაბამისი საბჭოს რეკომენდაციით გამგებელი იღებს პროექტს და აწერს ხელს მას.

სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, დასამტკიცებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება. ასევე, დადგენილების სამართლებრივ საფუძველში მიეთითოს ამავე კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ დადგენილების სამართლებრივ საფუძვლებში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ბატონმა ლევანმა ასევე აღნიშნა, რომ კომისიას გააჩნია ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, კერძოდ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ნაცვლად ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამისა“ უნდა მიეთითოს პროგრამის სრულყოფილი დასახელება - ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“.

ასევე, კომისია მიიჩნევს, რომ დადგენილების პროექტის დანართის მე-7 მუხლში უნდა გასწორდეს ნუმერაცია და მე-4 პუნქტის ნაცვლად მითითებულ იქნას მე-3 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიღების შემთხვევაში მთავრობას ექნება შესაძლებლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიიღოს სხდომაზე ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ელექტრონული მთავრობის პროგრამის მეშვეობით. მთავრობის სხდომაზე განსახილველად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის, მათ შორის, ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვის უფლება ექნებათ: ა) თბილისის მერს; ბ) მთავრობის წევრს; გ) თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც არ არის მთავრობის წევრი; დ) თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ხელმძღვანელს.

ბატონმა სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი სავალდებულოდ შეთანხმებული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ და საფინანსო საქალაქო სამსახურებთან, აგრეთვე პროექტის წარმდგენის კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან (საჭიროების შემთხვევაში, პროექტის წარმდგენის მიერ შესაძლებელია დამატებით, პროექტის შეთანხმებისათვის სავალდებულო პირების განსაზღვრა). აღნიშნული პირები ვალდებული არიან 10 (ათი) კალენდარულ დღეში, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მიმართ დააფიქსირონ პოზიცია („მომხრე“ ან „წინააღმდეგი“), ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

მომხსენებელმა ასევე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რეგლამენტიდან 23-ე მუხლის ამოღებას, რომელიც არეგულირებდა მთვარობის სხდომის მოწვევის გარეშე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების საკითხს. გარდა ამისა, რეგლამენტს ემატება 24[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების პროცედურებს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას გააჩნია შენიშვნა დადგენილების პროექტის მიმართ. კერძოდ, კომისია, მიიჩნევს, რომ დადგენილების სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში უნდა მიეთითოს ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

ბატონმა ლევანმა ასევე აღნიშნა, რომ ტექნიკურად უნდა გაიმართოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის შესავალი წინადადება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებით (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.101.016075) დამტკიცებულ რეგლამენტში შევიდეს ცვლილება და:“

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებულ წესში, სს „ლიბერთი ბანკის“ შესახებ არსებული ჩანაწერის გაუქმების აუცილებლობით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღარ მოხდება რომელიმე ბანკისთვის უპირატესობის მინიჭება. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტში უქმდება სს „ლიბერთი ბანკის“ შესახებ არსებული ჩანაწერი, ხოლო მის ნაცვლად, ბილინგის სისტემით მომსახურებასთან დაკავშირებით განისაზღვრება ნებისმიერი კომერციული ბანკი.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ რამდენადაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იყოს მონაცემები იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება, კერძოდ, ნორმატიული აქტის სათაური, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი, ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლი უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.
შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 23/12/2014, სარეგისტრაციო კოდი:040110030.35.101.016060) და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) ბილინგის სისტემით გადახდა - ანგარიშსწორების მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ვებგვერდზე (www.iauction.ge ან auction.tbilisi.gov.ge) განთავსებული გადახდის ფორმის - ინვოისის შესაბამისად ხორციელდება თანხის კომერციულ ბანკში ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით გადახდა. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს გადახდილი თანხის ავტომატურ და მყისიერ ასახვას აუქციონატორის ანგარიშზე (ელექტრონული აუქციონის სისტემაში).”

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.16.02.029.015) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი, პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი წერილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქ. თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ის მიმდებარედ, უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული ქონებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებულ პირთათვის.

აზრი გამოთქვა:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ დიდი ხანია ითხოვს ფართების სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების მასალებს, თუმცა ამ დრომდე არ მიუღია. ამიტომ, ითხოვა გარკვეულ იქნას აღნიშნული საკითხი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაარკვევს აღნიშნულ საკითხს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვ.მ მიწის ნაკვეთის

(საკადასტრო კოდი: #72.13.19.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და ამხანაგობა „მეგობრობასთან“ გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული სატუმბი სადგურის მოწყობის მიზნით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამხანაგობა „მეგობრობის“ თავმჯდომარემ მამუკა გიორგობიანმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვ.მ მიწის ნაკვეთის ამხანაგობისთვის საკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, იმ ვალდებულებით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში მიწის ნაკვეთზე განთავსდება წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული სატუმბი სადგური და უზრუნველყოფილი იქნება მისი შემდგომი ფუნქციონირება.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ამხანაგობის საკუთრებად რეგისტრაცია მოითხოვა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“, მისი 2017 წლის 27 დეკემბრის წერილით, შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად. ამხანაგობის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ სოფელ გლდანში, წერეთლის და 26 მაისის ქუჩების, ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშეა წლების განმავლობაში. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, მოსახლეობამ შექმნა ამხანაგობა და მიმართა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობასთან დაკავშირებით, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობას - დაფინანსების მოთხოვნით. განცხადების პასუხად, ამხანაგობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი 2017 წლის 18 ოქტომბრის წერილით, გამგეობამ მზადყოფნა გამოთქვა სამუშაოების ხარჯების დაფინანსებაზე **153 405 (ას ორმოცდაცამეტი ათას ოთხას ხუთი)** ლარის ფარგლებში, ხოლო 2017 წლის 1 დეკემბრის წერილით გამგეობამ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, წყალმომარაგების ქსელისთვის საჭირო სატუმბი სადგურისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად ამხანაგობისთვის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, სააგენტოში წარდგენილი წერილით შესაძლებლად მიიჩნია შერჩეულ 62 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე სატუმბი სადგურის განთავსებაზე დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემა.

მომხსენებელმა დასძინა, რომ მოსახლეობისთვის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს მოთხოვნილი 62 კვ. მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული ამხანაგობისთვის საკუთრებაში გადაცემას შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.

- საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე წყალმომარაგების ქსელისთვის საჭირო სატუმბი სადგურის განთავსება და ექსპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან **ერთი წლის ვადაში**, ასევე მისი, როგორც წყალმომარაგების ობიექტის, შემდგომი ფუნქციონირება.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა ჩაემატოს წინადადება - „**სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად**".

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი** რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. ასევე, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს ამავე კოდექსის **75-ე მუხლის „დ. ა" ქვეპუნქტი** რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ამ კანონითა და თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ ასევე უნდა მიეთითოს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **პირველი მუხლის მე-3 პუნქტი რომლის თანახმად**, ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ხელშეკრულების/პრივატიზების პირობებსა და საპრივატიზებო ფასს განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საკითხს ამზადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ N03-031803922 წერილით, ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N279 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მ/წლის 16 იანვარს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირად ასევე განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე. ხოლო, აღნიშნულმა ცვლილებამ განაპირობა ცვლილების განხორციელების საჭიროება ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N279 განკარგულების შესაბამის დანართებში (დანართი N1, დანართი N2)

მომხსენებელმა დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტით მცირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის განპიროვნებული და სამორიგეო ერთი ავტომანქანისთვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტი, რაც ასახულია დანართ N2-ში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ N03-031803922 წერილით, ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, მ/წლის 16 იანვარს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირად ასევე განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, დღის წესრიგში დადგა ცვლილების განხორციელების საჭიროება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		თინათინ კასრაძე